

შპს არგო ანურია

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები.....	15
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	16
6. ძირითადი საშუალებები.....	19
7. საინვესტიციო ქონება	19
8. სხვა ფინანსური მოთხოვნა	20
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
11. სესხები.....	21
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	21
13. ამონაგები	22
14. სერვისის თვითღირებულება.....	22
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	22
16. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	23
17. პირობითი ვალდებულებები	23
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	23
მმართველობის ანგარიშგება	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „არგო ანურიას“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს არგო ანურიას (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს განმარტებულია მე-8 შენიშვნაში, კომპანიას აქვს მოთხოვნა 23,802,586 ლარი 2022 წელს გაყიდული საინვესტიციო ქონებიდან. მოთხოვნის დაფარვის პერიოდი შეადგენს გაყიდვიდან 5 წელს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან წარმოქმნილი სხვა ფინანსურ მოთხოვნების საწყის აღიარებაზე და შემდგომ აღრიცხვაზე, რაც 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 23,802,586 ლარად. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები სხვა ფინანსურ მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიამ საინვესტიციო ქონების ქვეჯგუფი „მიწები“-ს აღრიცხვისთვის 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გამოიყენა მათი რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები ღირებულება. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დასაშვები ღირებულების დეტალური გაანგარიშება, შესაბამისად ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება საინვესტიციო ქონებაში შემავალი მიწების საბალანსო ღირებულებაზე, რაც 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 726,049 ლარის ღირებულებით. დამატებით, კომპანიამ არ განმარტა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია, როგორც ეს მოთხოვნილია „ბასს 40-საინვესტიციო ქონებ“-ის მიხედვით. ბასს 40-ის მიხედვით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება უნდა იყოს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ჩვენი შეფასებით, ეს წარმოადგენს არსებით გადახრას „ბასს 40-საინვესტიციო ქონებ“-ის მოთხოვნებისგან. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები საინვესტიციო ქონებასთან, განმარტებით ინფორმაციასთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

13 ივნისი 2025

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „არგო ანურიას“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს არგო ანურიას (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს განმარტებულია მე-8 შენიშვნაში, კომპანიას აქვს მოთხოვნა 23,802,586 ლარი 2022 წელს გაყიდული საინვესტიციო ქონებიდან. მოთხოვნის დაფარვის პერიოდი შეადგენს გაყიდვიდან 5 წელს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან წარმოქმნილი სხვა ფინანსურ მოთხოვნების საწყის აღიარებაზე და შემდგომ აღრიცხვაზე, რაც 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 23,802,586 ლარად. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები სხვა ფინანსურ მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიამ საინვესტიციო ქონების ქვეჯგუფი „მიწები“-ს აღრიცხვისთვის 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გამოიყენა მათი რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები ღირებულება. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დასაშვები ღირებულების დეტალური გაანგარიშება, შესაბამისად ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება საინვესტიციო ქონებაში შემავალი მიწების საბალანსო ღირებულებაზე, რაც 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 726,049 ლარის ღირებულებით. დამატებით, კომპანიამ არ განმარტა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია, როგორც ეს მოთხოვნილია „ბასს 40-საინვესტიციო ქონებ“-ის მიხედვით. ბასს 40-ის მიხედვით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება უნდა იყოს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ჩვენი შეფასებით, ეს წარმოადგენს არსებით გადახრას „ბასს 40-საინვესტიციო ქონებ“-ის მოთხოვნებისგან. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები საინვესტიციო ქონებასთან, განმარტებით ინფორმაციასთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

13 ივნისი 2025

შპს არგო ანურია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	11,540,873	11,646,691
საინვესტიციო ქონება	7	4,453,845	3,753,977
არმატერიული აქტივები		88,977	13,544
სხვა ფინანსური მოთხოვნები	8	23,802,586	23,802,586
		39,886,281	39,216,798
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		285,131	144,502
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	236,010	179,692
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	1,669,514	780,044
		2,190,655	1,104,238
სულ აქტივები		42,076,936	40,321,036
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		1,723,380	1,733,449
გაუნაწილებელი მოგება		35,929,498	33,526,279
სულ კაპიტალი		37,652,878	35,259,728
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	11	3,330,412	4,170,155
		3,330,412	4,170,155
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები	11	988,447	757,985
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	105,199	133,168
		1,093,646	891,153
სულ ვალდებულებები		4,424,058	5,061,308
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		42,076,936	40,321,036

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 13 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	გიორგი აბაშიძე
ფინანსური დირექტორი	_____	გიორგი გოჩიტაშვილი

შპს არგო ანურია**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	11,540,873	11,646,691
საინვესტიციო ქონება	7	4,453,845	3,753,977
არამატერიალური აქტივები		88,977	13,544
სხვა ფინანსური მოთხოვნები	8	23,802,586	23,802,586
		39,886,281	39,216,798
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		285,131	144,502
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	236,010	179,692
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	1,669,514	780,044
		2,190,655	1,104,238
სულ აქტივები		42,076,936	40,321,036
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		1,723,380	1,733,449
გაუნაწილებელი მოგება		35,929,498	33,526,279
სულ კაპიტალი		37,652,878	35,259,728
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	11	3,330,412	4,170,155
		3,330,412	4,170,155
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები	11	988,447	757,985
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	105,199	133,168
		1,093,646	891,153
სულ ვალდებულებები		4,424,058	5,061,308
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		42,076,936	40,321,036

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 13 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი აბაშიძე

ფინანსური დირექტორი



გიორგი გოჩიტაშვილი

შპს არგო ანურია

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	13	6,495,114	6,116,267
თვითღირებულება	14	(2,467,667)	(1,873,251)
საერთო მოგება		4,027,447	4,243,016
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,219,439)	(1,114,783)
საოპერაციო მოგება		2,808,008	3,128,233
წმინდა საპროცენტო ხარჯი		(431,551)	(434,082)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		26,762	(122,946)
წმინდა მოგება		2,403,219	2,571,205
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		2,403,219	2,571,205

შპს არგო ანურია

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	6,192,390	30,955,074	37,147,464
ფულადი სახსრების გატანა	(4,458,941)	-	(4,458,941)
სრული შემოსავალი	-	2,571,205	2,571,205
31 დეკემბერი 2023	1,733,449	33,526,279	35,259,728
ოპერაციები მფლობელის გადაწყვეტილებით	(10,069)	-	(10,069)
სრული შემოსავალი	-	2,403,219	2,403,219
31 დეკემბერი 2024	1,723,380	35,929,498	37,652,878

შპს არგო ანურია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,403,219	2,571,205
კორექტირებები:			
ცვეთის ხარჯი	6;7	605,161	482,644
ფინანსური აქტივების გაუფასურება		70,000	16,794
საპროცენტო შემოსავალი		-	(32,992)
საპროცენტო ხარჯი		431,551	467,074
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(26,762)	122,946
		3,483,169	3,627,671
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:			
მარაგების ზრდა		(140,629)	(122,144)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(126,318)	(124,104)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(24,945)	1,638
		3,191,277	3,383,061
გადახდილი პროცენტები	11	(431,551)	(467,074)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,759,726	2,915,987
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(419,532)	(216,966)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(779,679)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(75,433)	-
პროცენტის მიღება		-	32,992
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,274,644)	(183,974)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის განაწილება		-	(4,458,941)
დამფუძნებლის დავალებით შესრულებული ოპერაცია		(10,069)	-
მიღებული სესხები	11	292,150	-
მიღებული სესხების დაფარვა	11	(842,011)	(698,630)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(559,930)	(5,157,571)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		925,152	(2,425,558)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	780,044	3,196,328
საკუროსო სხვაობის ცვლილების გავლენა		(35,682)	9,274
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	1,669,514	780,044

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „არგო ანურია“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2008 წლის 30 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, თაყაიშვილის ქ., N13.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ქალაქ ბათუმში საბაგირო გზის საშუალებით მომხმარებლებისათვის მომსახურების მიწოდება. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი არის შპს ტურინვესტ ჯგუფი (ს/კ: 445472211), ხოლო ბენეფიციარი მფლობელი არის ბატონი კლიმენტი ქასრაძე.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი გავლენების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, არ არის დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობასთან.

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველ-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

კომპანიის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხება შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს. მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (ადრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენაზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სტანდარტს/ცვლილებებს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად არის გამოყენებული თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები.

3.2 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ქალაქ ბათუმში საბაგირო გზით სარგებლობის მომსახურების მიწოდება. ამონაგები საბაგირო გზით სარგებლობასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ მომსახურებაზე გადაეცემა მომხმარებელს (განხორციელდება მგზავრთა გადაყვანა). გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ მომსახურების შესყიდვა. საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

3.3 ხარჯები

ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც დივიდენდის გაცემა გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფისთვის ცვეთა აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები	25
ოფისის აღჭურვილობა	5-12
სხვა	5-12

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

3.6 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით. კომპანია საინვესტიციო ქონებას საწყისი აღიარებისას აღრიცხავს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს. საინვესტიციო ქონების ქვეჯგუფი შენობები ცვდება 50 წელზე.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.7 იჯარა

კომპანია გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს. კომპანიას არ აქვს გრძელვადიანი იჯარები. კომპანია საოპერაციო იჯარიდან მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს, როგორც შემოსავალი წრფივი მეთოდით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.8 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

3.9 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება წარმოადგენს:

ა) შესაძლო ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან

ბ) მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან:

- (i) მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა; ან
- (ii) ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

3.10 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“. მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: მიღებულ სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს და მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.11 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3.12 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4.1 ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახდევს ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები.

4.2 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.3 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: საკრედიტო რისკი; საპროცენტო რისკი; უცხოური ვალუტის რისკი; ლიკვიდურობის რისკი. სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორცაა სხვა ფინანსური მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

	2024	2023
სხვა ფინანსური მოთხოვნები	23,802,586	23,802,586
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	236,010	148,777
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,669,514	780,044
სულ ფინანსური აქტივები	25,708,110	24,731,407
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	74,849	78,635
სესხები	4,318,859	4,928,140
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,393,708	5,006,775

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას. რეალური ღირებულება არის ის თანხა,

რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც

5. ფინანსური ინსტრუმენტები –რისკების მართვა (გაგრძელება)

დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება და დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული სესხების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი შეადგენს 9-11%, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს და საბალანსო ღირებულება შეესაბამება რეალურ ღირებულებას.

სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დაფარვის მოკლე ვადის გამო შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

სხვა ფინანსური მოთხოვნების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე და შეესაბამება მის საბალანსო ღირებულებას.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია ევროში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავალუტო რისკის ანალიზს.

	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,387,793	357,159
სესხები	4,318,859	4,825,059
წმინდა სავალუტო პოზიცია	(2,931,066)	(4,467,900)

კომპანიის მგრძნობელობას ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე შეადგენს 586,213 ლარს (2023: 893,580 ლარი). 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის

5. ფინანსური ინსტრუმენტები –რისკების მართვა (გაგრძელება)

მდგომარეობით კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია ევროში და დაკავშირებულია Euribor-თან. ხელშეკრულების შესაბამისად ცვლადი პროცენტის გაანგარიშებაში Euribor აღარ მიიღებს მონაწილეობს თუ ის გახდება უარყოფითი. ცვლადი პროცენტის მატარებელი სესხების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,026,709 ლარს (2023: 4,825,059 ლარი).

მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვლადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში. 1 პროცენტის ცვლილება განაპირობებს საპროცენტო ხარჯების ცვლილებას წლიურად 40,267 ლარით (2023: 48,251 ლარი).

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს. საინვესტიციო ბაზრების სწრაფად ცვლილების შესაბამისად, ხელმძღვანელობა ახორციელებს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის ცვლილებასა და სხვა დამცავ ქმედებებს. შედეგად, დაშვებების რეალურმა ცვლილებამ შესაძლებელია გავლენა არ მოახდინოს კომპანიის ვალდებულებებზე. ზემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზრუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოთეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს კომპანიის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	2024	2023
სხვა ფინანსური მოთხოვნები	23,802,586	23,802,586
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	236,010	148,777
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულის	1,658,673	746,224
სულ	25,697,269	24,697,587

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი

შპს არგო ანურია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები –რისკების მართვა (გაგრძელება)

ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები, მომავალში გადასახდელი ფულადი ნაკადები გაანგარიშებულია საანგარიშგებო წლის ბოლოს დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	74,849	-	-	74,849
სესხები	1,301,651	3,904,610	95,971	5,302,232
სულ 2024	1,376,500	3,904,610	95,971	5,377,081
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	78,635	-	-	78,635
სესხები	1,017,652	4,070,259	1,094,943	6,182,854
სულ 2023	1,096,287	4,070,259	1,094,943	6,261,489

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობა	აღჭურვილობა	სხვა	სულ
31.12.2022	22,260	11,495,156	8,792,813	282,386	20,592,615
შემოსვლა	-	69,205	39,847	107,914	216,966
31.12.2023	22,260	11,564,361	8,832,660	390,300	20,809,581
შემოსვლა	-	-	360,263	59,269	419,532
გასვლა	-	-	(229,123)	-	(229,123)
31.12.2024	22,260	11,564,361	8,963,800	449,569	20,999,990
დაგროვილი ცვეთა					
31.12.2022	-	(2,176,260)	(6,437,667)	(142,232)	(8,756,159)
ცვეთა	-	(235,069)	(144,366)	(27,296)	(406,731)
31.12.2023	-	(2,411,329)	(6,582,033)	(169,528)	(9,162,890)
ცვეთა	-	(235,775)	(255,519)	(34,056)	(525,350)
გასვლა	-	-	229,123	-	229,123
31.12.2024	-	(2,647,104)	(6,608,429)	(203,584)	(9,459,117)
საბალანსო ღირებულება					
31.12.2023	22,260	9,153,032	2,250,627	220,772	11,646,691
31.12.2024	22,260	8,917,257	2,355,371	245,985	11,540,873

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები სრულად წარმოადგენდა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფას. კომპანიას არ შეუძლია აღნიშნული აქტივების გაყიდვა ან გამოყენება იპოთეკის საგნად გამსესხებლის თანხმობის გარეშე.

2023 წელს კომპანიამ გადახედა ძირითად საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, გაითვალისწინა აქტივების მდგომარეობა, ექსპლუატაციის პირობების, ტექნიკური შემოწმების შედეგები, საჯაროდ ხელმისაწვდომი პუბლიკაციები და კომპანიის სტრატეგია აქტივების გამოყენებასთან დაკავშირებით. შედეგად, აღჭურვილობაზე მომსახურების ვადა გაიზარდა 12-იდან 25-წლამდე. მომსახურების ვადის ცვლილების გავლენით აღჭურვილობის ყოველწლიური ცვეთის ხარჯი შემცირდა 617,000 ლარით.

7. საინვესტიციო ქონება

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება სრულად წარმოადგენდა ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხების უზრუნველყოფას. კომპანიას არ შეუძლია აღნიშნული აქტივების გასხვისება ან გამოყენება იპოთეკის საგნად სესხის გამცემის თანხმობის გარეშე.

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს სხვა დაკავშირებულ და არა დაკავშირებულ მხარეებზე იჯარით გაცემულ ქონებას. ქონების ნაწილი (შენობის ზედა სართული) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარმოადგენს თავისუფალს და არ არის იჯარით გაცემული. კომპანიის საიჯარო საქმიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 13.

10 - 23 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს არგო ანურია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს საინვესტიციო ქონების მოძრაობას.

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობა	სულ
31.12.2022	726,049	3,817,655	4,543,704
31.12.2023	726,049	3,817,655	4,543,704
ხარჯების კაპიტალიზაციის შედეგად მიღებული ზრდა		779,679	779,679
31.12.2024	726,049	4,597,334	5,323,383
დაგროვილი ცვეთა			
31.12.2022	-	(713,814)	(713,814)
ცვეთა	-	(75,913)	(75,913)
31.12.2023	-	(789,727)	(789,727)
ცვეთა	-	(79,811)	(79,811)
31.12.2024	-	(869,538)	(869,538)
საბალანსო ღირებულება			
31.12.2023	726,049	3,027,928	3,753,977
31.12.2024	726,049	3,727,796	4,453,845

კომპანია არ განმარტავს საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებას.

8. სხვა ფინანსური მოთხოვნა

2022 წელს კომპანიამ შვილობილი კომპანიის 100%-იანი წილის რეალიზაციით გაყიდა კომპანიის მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ქონებაში წარდგენილი მიწები საბალანსო ღირებულებით 18,831,896 ლარი. გაყიდვის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 23,802,586 ლარს და მისი დაფარვის პერიოდის 5 წელს.

ანგარიში მომზადების თარიღისთვის და შესადარის პერიოდში, ხელმძღვანელობამ შეაფასა სხვა ფინანსური მოთხოვნის საკრედიტო რისკი და განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქნებოდა ცალსახად უმნიშვნელო. შეფასება ეფუძნება კონტრაგენტის მახასიათებლებს და მიმდინარე/პროგნოზირებულ ეკონომიკურ პირობებს. შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნა აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი, ვინაიდან მისი გავლენა ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე არ არის არსებითი.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	306,010	265,628
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(70,000)	(116,851)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	236,010	148,777
გადახდილი ავანსები	-	10,863
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	20,052
სულ მოთხოვნები	236,010	179,692

კომპანია იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი წარდგენილია საერთო და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ცხრილი გვიჩვენებს გაუფასურების რეზერვის მოძრაობას

	2024	2023
ბალანსი წლის დასაწყისში	(116,851)	(100,057)
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(70,000)	(16,794)
ჩამოწერა	116,851	-
სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით	(70,000)	(116,851)

შპს არგო ანურია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024	2023
ფული ბანკში ლარში	263,664	385,025
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,395,009	361,199
ფული სალაროში	10,841	33,820
სულ	1,669,514	780,044

11. სესხები

	2024	2023
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	3,330,412	4,170,155
სულ გრძელვადიანი ნაწილი	3,330,412	4,170,155
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	988,447	654,904
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	-	103,081
სულ მოკლევადიანი ნაწილი სესხები	988,447	757,985

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების მოძრაობას.

	2024	2023
1 იანვარი	4,928,140	5,493,550
სესხების აღება	292,150	-
საპროცენტო ხარჯი	431,551	467,074
პროცენტის დაფარვა	(431,551)	(467,074)
სესხების დაფარვა	(842,011)	(698,630)
საკურსო სხვაობის გავლენა	(59,420)	133,220
31 დეკემბერი	4,318,859	4,928,140

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით და საინვესტიციო ქონებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 6 და 7. ფინანსური ინსტიტუტის სასარგებლოდ დაგირავებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული და სამომავლო მთელი მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების ხელშეკრულებები შეიცავს ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს. ძირითადი ფინანსური შეზღუდვები რომელიც მოქმედებს 2024 და 2023 წლის ბოლოს არსებული ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხებისთვის არის შემდეგი:

- ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს ცვეთის, ამორტიზაციის და საპროცენტო ხარჯის გამოკლებამდე არსებული მოგების (EBIDA) 4.8-ზე მეტი;
- სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR) მინიმუმ 1.2 დონეზე;

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებდა დადგენილ ფინანსურ შეზღუდვებს.

დამატებითი ინფორმაცია სესხების ვალუტის, პროცენტის და მომავალი ფულადი ნაკადების შესახებ იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 5-ში.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	74,849	78,635
წინასწარ მიღებული იჯარის ანაზღაურება	-	54,533
საგადასახადო ვალდებულებები	30,350	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	105,199	133,168

შპს არგო ანურია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

13. ამონაგები

	2024	2023
ამონაგები საბაგირო გზიდან	6,097,480	5,821,514
ფიქსირებული შემოსავალი საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან	209,763	199,275
შემოსავალი საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან	187,871	95,478
სულ	6,495,114	6,116,267

კომპანიის საიჯარო საქმიანობა მოიცავს დაკავშირებულ მხარეებზე და სხვა არადაკავშირებულ მხარეებზე უძრავი ქონების გაქირავებას (იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 7). კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები დაკავშირებულ მხარესთან არის ფიქსირებულ ფასიანი 1 წლამდე ვადით და მოიცავს შეწყვეტის უფლებას მხარეთა წინასწარი შეტყობინებით 1 თვემდე. საიჯარო ხელშეკრულებები არა დაკავშირებულ მხარესთან არის ფიქსირებულ და ცვლად ფასიანი და ხელშეკრულებების არსებითი ნაწილი არ მოიცავს შეწყვეტის უფლებას ხელშეკრულების პირობების დარღვევის გარეშე. იჯარის ხელშეკრულებების ვადა მერყეობს 3-7 წლამდე.

იჯარის ობიექტთან დაკავშირებული რისკების მართვისთვის კომპანია იყენებს მოკლე და საშუალოვადიან ხელშეკრულებებს, მხარეთა შეთანხმებით გაგრძელების უფლებით და ცვლად ფასიან იჯარის ხელშეკრულებებს. კომპანიის მომავალი საიჯარო შემოსავალი 1 წლიანი პერიოდისთვის ფიქსირებული ფასის საიჯარო ხელშეკრულებებიდან უახლოვდება 2024 წელს წარდგენილ მაჩვენებელს, თუ არ მოხდა მხარეთა შეთანხმებით საიჯარო ვალდებულების შეწყვეტა ან სხვა პირობების მოდიფიკაცია. მომავალი საიჯარო შემოსავალი ფიქსირებულ ფასიანი ხელშეკრულებებიდან 1 წლის შემდგომი პერიოდებისთვის ცალსახად უმნიშვნელოა. ცვლად ფასიანი იჯარის ხელშეკრულებების დაკავშირებულია მოიჯარის მიერ მიღებულ ამონაგებთან.

საიჯარო შემოსავალთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს საინვესტიციო ქონების ცვეთას (შენიშვნა 7) და საინვესტიციო ქონების საფუძველზე აღიარებულ ქონების გადასახადს, რომელიც შეადგენს საინვესტიციო ქონების საშუალო საბალანსო ღირებულების 1%-ს წლიურად.

14. სერვისის თვითღირებულება

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	(994,428)	(834,794)
ცვეთის ხარჯი	(605,161)	(482,644)
საბაგირო გზის ექსპლუატაციის ხარჯები	(576,703)	(326,698)
კომუნალური ხარჯი	(216,129)	(157,517)
დაცვის ხარჯი	(75,246)	(71,598)
სულ	(2,467,667)	(1,873,251)

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	(736,195)	(703,154)
რეკლამის ხარჯი	(84,156)	(41,290)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	(70,000)	(16,794)
ქონების გადასახადის ხარჯი	(56,361)	(59,564)
საბანკო ხარჯები	(51,900)	(43,458)
საკონსულტაციო ხარჯი	(50,935)	(46,681)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(26,601)	(83,761)
სხვა	(143,291)	(120,081)
სულ	(1,219,439)	(1,114,783)

შპს არგო ანურია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

16. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

	2024	2023
ნაშთები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	191,840	121,782
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(70,000)	
სესხები	-	103,081
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,251	30,271
ოპერაციები		
შემოსავალი ფართის გაქირავებიდან	106,272	104,746
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(29,595)	(43,737)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	(70,000)	-
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:	(205,000)	(197,000)

დაკავშირებული კომპანიები მოიცავს მშობელი საწარმოს სხვა შვილობილებს და საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს.

კომპანია წარმოადგენს დაკავშირებული მხარის (მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი კომპანიის) მიერ მიღებული სესხის თავდებს და თანამსესხებელს. იხილეთ შენიშვნა 17.

17. პირობითი ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები

მიწის შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს საბაგირო გზის და გასართობი ცენტრის ფუნქციონირება 2030 წლამდე.

თავდებობა და თანამსესხებლობა

კომპანია წარმოადგენს დაკავშირებული მხარის (მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი კომპანიის) მიერ მიღებული სესხის თავდებს და თანამსესხებელს. სესხების მოცულობა, რომლისთვისაც კომპანია წარმოადგენს თავდებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 511,000 ლარს. (2023: 1,466,000 ლარი). კომპანია ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებას საწყისად აღიარებს რეალური ღირებულებით. ხელმძღვანელობის შეფასებით გაცემული ფინანსური გარანტიების რეალური ღირებულება საწყისი აღიარებისას არაა არსებითია და არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

თავდებობის ხელშეკრულების დაწყებიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დაკავშირებული მხარის მიერ სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა დაბალია და შეფასებული საკრედიტო ზარალის თანხა არ აჭარბებს საწყისი აღიარებისას შეფასებულ რეალური ღირებულების არაამორტიზებულ მოცულობას, შესაბამისად, ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიის პირობითი მოგების გადასახადი უკავშირდება 2008-2016 წლებში დაგროვილ მოგებას. 2017 წლიდან დაგროვილ მოგებაზე, კომპანიას არ წარმოექმნება პირობითი მოგების გადასახადი, რადგან კომპანიის მშობელი საწარმო ესტონურ მოდელზეა მასზე მოგების განაწილება გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან. პირობითი მოგების გადასახადი დაგროვილ მოგებაზე შეადგენს 3,019,000 ლარს (2023; 3,019,000 ლარი).

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ მშობელ საწარმოზე გაანაწილა საწესდებო კაპიტალი ჯამურად 1,062,839 ლარი.

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

შპს „არგო ანურია“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2008 წლის 30 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, თაყაიშვილის ქ., N13. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ქალაქ ბათუმში საბაგირო გზის საშუალებით მომხმარებლებისათვის მომსახურების მიწოდება. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ყავს შვილობილი.

„არგოთი“ მგზავრობა ბათუმში, ბაქოს ქუჩაზე იწყება და ანურიის მთაზე, ზღვის დონიდან 256 მეტრ სიმაღლეზე სრულდება. საბაგირო გზაზე 8-ადგილიანი 20 გონდოლა მოძრაობს, გზის სიგრძე 2 586 მეტრია და მის დაფარვას 15 წუთი სჭირდება. ერთ საათში დაახლოებით 500-მდე მგზავრის გადაყვანა შესაძლებელია. მგზავრების უსაფრთხოებასა და მოწესრიგებულ გარემოს პროფესიონალი გამცილებლები უზრუნველყოფენ. სისტემურად ხორციელდება ტექნიკური დათვალიერება და კონტროლი. დაცულობის, კომფორტის მაღალი სტანდარტი და ხარისხი „საბაგირო გზა არგოს“ ერთ-ერთ შეუცვლელ მარშრუტად აქცევს როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ტურისტებისა და ბათუმის სხვა სტუმრებისთვის.

კულტურულ-გასართობ კომპლექსს გადმოსახედი ბაქანიც აქვს, საიდანაც ქალაქისა და ზღვის თვალუწვდენელი პეიზაჟები ჩანს. ბაქანზე დამონტაჟებულია რამდენიმე ჭოგრითი პანორამული ხედების კიდევ უფრო მისაახლოებლად, უცნობი თუ მოულოდნელი დეტალების აღმოსაჩენად.

კომპანიამ 2024 წელს იუარით გასცა საინვესტიციო ქონების ნაწილი, რომლის მიზანს წარმოადგენდა მოიჯარის მიერ ციფრული სივრცის მოწყობა იუარით აღებულ ფართში. საბაგირო გზა არგოს ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ ესტუმრონ ციფრულ სივრცეს და მსოფლიო მხატვრების ნამუშევრები იხილონ. ბათუმის ციფრული სივრცე ამიერკავკასიაში მეორე ციფრული ხელოვნების მუზეუმი, რომელიც თბილისის ციფრული სივრცის შემდეგ გაიხსნა. მუზეუმი Alive exhibition მეთოდს იყენებს, რათა ციფრული ხელოვნება უფრო ხელმისაწვდომი, დინამიური და ვერტიკალური გახადოს. მონუმენტური პროექციები და მუსიკა ერთად ქმნის უნიკალურ მხატვრულ გამოცდილებას. ცენტრალური დარბაზის გარდა, მუზეუმი მოიცავს სარკეებიან ოთახს, რომელიც განათებისა და ანარეკლების ინტერაქციით ქმნის უნიკალურ ინსტალაციას. ეს სივრცეები ხელს უწყობს თანამედროვე ხელოვნების აღმოჩენასა და აღქმას, ვიზიტორებს კი ახალ ინტელექტუალურ და ემოციურ გამოცდილებას სთავაზობს.

საბაგირო გზის ზედა სადგურზე კომპანიის მოიჯარეების საშუალებით ასევე ფუნქციონირებს გასართობი სივრცე, კაფე-ბარი არგო, ღვინის კუთხე და სუვენირების მაღაზია. გასართობი სივრცე მორგებულია როგორც ბავშვების, ასევე უფროსების გემოვნებაზე. ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ მრავალფეროვანი აქტივობებით: სარკისებური ლაბირინთები, საფოტოსესიო თვითმფრინავი, სამაგიდო თამაშები და სხვა.

კომპანიის სტრატეგია და მიზნები, მმართველობა და სტრუქტურა

კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ნებისმიერ საკითხზე კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს - გიორგი აბაშიძეს, რომელიც დანიშნულია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა კომპანია ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ: კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე; მომსახურების მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ტრენინგების ჩატარებაზე; თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევაზე.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

მომგებიანობის თვალსაზრისით, 2024 წლის განმავლობაში, კომპანიის საოპერაციო მოგების მარჟა შეადგენს 43 % -ს (2023: 51%), რომელიც გამოითვლება საოპერაციო მოგება შეფარდებული ამონაგებთან. საოპერაციო მარჟის შემცირება განაპირობა საოპერაციო ხარჯების მაღალმა პროცენტულმა ზრდამ ამონაგებთან შედარებით. რაც თავის მხრივ აიხსნება შემდეგი გარემოებით: კომპანიამ 2024 წელს ჩაატარა მნიშვნელოვანი კაპიტალური და მიმდინარე შეკეთებები, რამაც განაპირობა საბაგირო გზის ექსპლუატაციის ხარჯების და ცვეთის ხარჯის ზრდა და შეკეთების პერიოდში საბაგირო გზის ექსპლუატაციის შეჩერება, რაც თავის მხრივ აისახა ამონაგებზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი.

საოპერაციო რისკები: ძირითადად საოპერაციო რისკებად შეიძლება განვიხილოთ მომხმარებლებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მომხმარებელთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მომხმარებელთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, ვიდეო კონტროლი.

რისკის მართვა: ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად კომპანიას გააჩნია ცოცხალი დაცვა, ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით.

თაღლითობის რისკი: მნიშვნელოვანი თანდაყოლილი რისკია, თაღლითობის რისკი, რომელიც უკავშირდება თაღლითური გზებით ამონაგების მითვისებას.

რისკის მართვა: ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს აღნიშნული რისკის განეიტრალებაზე. მთავარი სტრატეგია არის: ეთიკური ღირებულებების განმტკიცება კომპანიაში; მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა; ფუნქცია მოვალეობების მისაღებ დონემდე დანაწილება; კადრების განგრძობითი სწავლების უზრუნველყოფა; სამუშაო პროცესზე პირდაპირ მონიტორინგთან ერთად კამერების საშუალებით მუდმივი მონიტორინგი; სალაროს ოპერაციებზე მკაცრი კონტროლი.

ფინანსური რისკები: კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები, რომლის შესახებაც დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში, იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 13 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გიორგი აბაშიძე

ფინანსური დირექტორი

გიორგი გოჩიტაშვილი

შპს არგო ანურია

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი.

საოპერაციო რისკები: ძირითადად საოპერაციო რისკებად შეიძლება განვიხილოთ მომხმარებლებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მომხმარებელთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მომხმარებელთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, ვიდეო კონტროლი.

რისკის მართვა: ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად კომპანიას გააჩნია ცოცხალი დაცვა, ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით.

თაღლითობის რისკი: მნიშვნელოვანი თანდაყოლილი რისკია, თაღლითობის რისკი, რომელიც უკავშირდება თაღლითური გზებით ამონაგების მითვისებას.

რისკის მართვა: ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს აღნიშნული რისკის განეიტრალებაზე. მთავარი სტრატეგია არის: ეთიკური ღირებულებების განმტკიცება კომპანიაში; მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა; ფუნქცია მოვალეობების მისაღებ დონემდე დანაწილება; კადრების განგრძობითი სწავლების უზრუნველყოფა; სამუშაო პროცესზე პირდაპირ მონიტორინგთან ერთად კამერების საშუალებით მუდმივი მონიტორინგი; სალაროს ოპერაციებზე მკაცრი კონტროლი.

ფინანსური რისკები: კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები, რომლის შესახებაც დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში, იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 13 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

გიორგი აბაშიძე

გიორგი გოჭიტაშვილი